ხელშეკრულება
საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას
შორის „სამხედრო გრანტის შესახებ“

საქართველო და თურქეთის რესპუბლიკა ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობების ფარგლებში, ითვალისწინებენ რა 1996 წლის 4 აპრილის შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროებში“ და 1997 წლის 14 ივლისის შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „სამხედრო მომზადების სფეროში თანამშრომლობის“ შესახებ", სამხედრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებისა და საქართველოში შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის საქმეში წელილის შეტანის მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს 2008 წელს გრანტის სახით გაუწევს დახმარებას 1.510.500 (მილიონ ხუთასათი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტით აშშ დოლარებში. გრანტის ათვისება დაიწყება 2008 წლიდან.

მუხლი 2

ამ ხელშეკრულების ერთი ნაწილი, გრანტის დახმარება, რომელიც შეადგენს 1.282.500 (მილიონ ორასოთხმოცდაორი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტს აშშ დოლარში, გადაეცემა მატერიალურ დახმარებისა და მომსახურების სახით, ხოლო მეორე ნაწილი 228.000 (ორას ოცდარვა ათასი) ახალი თურქული ლირის ექვივალენტი აშშ დოლარში ნაღდი ფულის სახით - თურქეთის რესპუბლიკის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3

1.510.500 (მილიონ ხუთასათი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი აშშ დოლარში გრანტის დახმარება განხორციელდება ორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოთა შორის ხელმოწერილი ფინანსური დახმარებისა და ლოგისტიკის სფეროში განსახორციელებელი ოქმების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.

მუხლი 4

საქართველო თანახმაა, ნივთები და მომსახურების უფლება არ გადასცეს სხვა ქვეყანას ან მესამე მხარეს, თურქეთის რესპუბლიკის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 5

ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ოქმების სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორი წესითაც ეს ხელშეკრულება შედის ძალაში. აღნიშნული სახით მიღებული ოქმები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება ლოგისტიკის სფეროში განსახორციელებელი ოქმით განსაზღვრული მატერიალური დახმარებისა და მომსახურების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინვენტარიდან მოხსნამდე.

გრანტის ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან განხორციელდება თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ, ხოლო საქართველოს მხრიდან საქართველოს თაედაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

ამ ხელშეკრულების განხორციელებისას წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

შესრულებულია 2004 წლის 26 11, ქ. ანკარა ,ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით	თურქეთის რესპუბლიკის სახელით
მამუკა სამხარაძე	სემიჰ ჩეთინი
ვიცე-პოლკოვნიკი საქართველოს თაედაცვის აგენტი თურქეთის რესპუბლიკასა და ბულგარეთის რესპუბლიკაში	ვიცე-ადმირალი თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ძალთა განვითარებისა და რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე